

თავი II

2016 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2016 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.6 პროცენტი შეადგინა.

2016 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (18.2%), სასტუმროები და რესტორნები (11.2%), საფინანსო საქმიანობა (8.9%) და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6.1%).

ფასები

2016 წლის სექტემბერში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 0.1 პროცენტი შეადგინა. წლიურ ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 11.2 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.69 პროცენტული პუნქტით აისახა, სასტუმროები, კაფეები და რესტორნები ფასები გაიზარდა 4.8 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.2 პროცენტული პუნქტი შეადგინა, ხოლო ფასების კლება დაფიქსირდა ტრანსპორტის ჯგუფზე.

2016 წლის სექტემბერში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 3.4 პროცენტი შეადგინა.

გაცვლითი კურსი

2016 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა. 2016 წლის სექტემბერში 2015 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8 პროცენტით გამყარდა და 2.33 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, ხოლო ევროსთან გამყარებამ 0.4 პროცენტი შეადგინა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, გამყარდა 2.0 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2016 წლის სექტემბერში 2015 წლის სექტემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 9.0 პროცენტით გაიზარდა და 14 309.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 9.2 პროცენტით გაიზარდა და 6 270.6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2016 წლის სექტემბერში მთლიანი დეპოზიტები 8.5 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 7.7 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 8.9 პროცენტით გაიზარდა.

2016 წლის სექტემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი იგივე დონეზეა და 66.7 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 64.1 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2016 წლის იანვარ-სექტემბერში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 104 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1 512 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (8%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი 7 592 მლნ. აშშ დოლარს (34%-ით მეტი), თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ 2015-2016 წლების ცხრა თვის იმპორტიდან გამოვრიცხავთ C ჰეპატიტის მედიკამენტების ღირებულებას, იმპორტის კლება 3 პროცენტის დონეზეა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-სექტემბერში 6 080 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი კანადას უკავია, რომლის წილი 2016 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით მთლიან საქონელბრუნვის 20.1 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს თურქეთი 12.5, ირლანდია 6.8 და რუსეთი 6.7 პროცენტული წილებით.

2016 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 554 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10 პროცენტით მეტია.

ექსპორტში 9.4 პროცენტით პირველ ადგილზე თურქეთია, შემდეგ მოდიან ჩინეთი 9.2%, რუსეთი 8.7%, სომხეთი 7.5% და აზერბაიჯანი 6.2 პროცენტით.

იმპორტში პირველი ადგილი კანადას უჭირავს 23.6 პროცენტით, შემდეგ მოდიან თურქეთი 13.1%, ირლანდია 8.2%, რუსეთი 6.3% და ჩინეთი 5.4 პროცენტით.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 16.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: მსუბუქი ავტომობილები 8.0%, ფეროშენადნობები 8.0%, თხილი და სხვა კაკალი 7.7%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 4.9% და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე სამკურნალო საშუალებებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 34.1 პროცენტის წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 5.4%, მსუბუქი ავტომობილები 4.5%, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 2.6% და ა.შ.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2016 წლის იანვარ-სექტემბერში 1 865 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2015 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით 8 პროცენტით ნაკლები).

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 985 584,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 032 447,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,7%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 335 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 475 066,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,2%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 222 329,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 138 683,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 62,4%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 428 255,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 418 698,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97,8%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 242 104,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (200 000,0 ათასი ლარი) 121,1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 40 062,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (45 000,0 ათასი ლარი) 89,0%-ია.

2016 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	6,985,584.2	7,032,447.1	46,862.9	100.7
გადასახადები	6,335,000.0	6,475,066.0	140,066.0	102.2
საშემოსავლო გადასახადი	1,808,000.0	1,748,148.3	-59,851.7	96.7
მოგების გადასახადი	810,000.0	883,969.2	73,969.2	109.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,742,000.0	2,404,675.1	-337,324.9	87.7
აქციზი	722,000.0	796,620.6	74,620.6	110.3
იმპორტის გადასახადი	55,000.0	51,852.4	-3,147.6	94.3
ქონების გადასახადი	181,000.0	273,878.9	92,878.9	151.3
სხვა გადასახადი	17,000.0	315,921.5	298,921.5	1,858.4
გრანტები	222,329.2	138,683.0	-83,646.2	62.4
სხვა შემოსავლები	428,255.0	418,698.1	-9,556.9	97.8

კალკული გადასახადების არაერთგვაროვანი შესრულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2016 წლიდან შეიცვალა და გამარტივდა გადასახადის გადამხდელის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის გადახდის სისტემა, ნაცვლად არსებული სახაზინო კოდებისა ყველა გადასახადისთვის დაწესდა ხაზინის ერთიანი სახაზინო კოდი და გაუქმდა კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების სახეების სახაზინო კოდები. გადახდილი თანხების აღრიცხვა კონკრეტული გადასახადის სახეში ხდება გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესაბამისად, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარების ვადის დადგომამდე ან გადახდის ვალდებულების წარმოქმნამდე გადახდილი თანხები აღრიცხება სხვა გადასახადში, საიდანაც შემდგომში, საგადასახადო ვალდებულების დადგომის შემდეგ, ხდება მისი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. სხვა გადასახადში აღრიცხება ასევე გაურკვეველი ან არასწორი პირადი მონაცემების მითითებით განხორციელებული გადახდები მათ დაზუსტებამდე. აღრიცხვის ახალი სისტემა გრძელვადიანი პერიოდისთვის უზრუნველყოფს გადასახადების აღრიცხვის გაუმჯობესებას.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 250 837,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 285 208,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,5%.

**2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	6,250,837.2	6,285,208.9	34,371.7	100.5
გადასახადები	5,831,000.0	5,943,499.5	112,499.5	101.9
გრანტები	222,329.2	138,210.7	-84,118.5	62.2
სხვა შემოსავლები	197,508.0	203,498.7	5,990.7	103.0

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 831 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 943 499,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,9%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 490 460,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 485 000,0 ათასი ლარი) 100,4%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 883 969,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (810 000,0 ათასი ლარი) 109,1%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 404 675,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 742 000,0 ათასი ლარი) 87,7%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 796 620,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (722 000,0 ათასი ლარი) 110,3%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 51 852,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55 000,0 ათასი ლარი) 94,3%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 315 921,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 000,0 ათასი ლარი) 1 858,4%-ია.

**2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო
შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	5,831,000.0	5,943,499.5	112,499.5	101.9
საშემოსავლო გადასახადი	1,485,000.0	1,490,460.8	5,460.8	100.4
მოგების გადასახადი	810,000.0	883,969.2	73,969.2	109.1
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,742,000.0	2,404,675.1	-337,324.9	87.7
აქციზი	722,000.0	796,620.6	74,620.6	110.3
იმპორტის გადასახადი	55,000.0	51,852.4	-3,147.6	94.3
სხვა გადასახადი	17,000.0	315,921.5	298,921.5	1,858.4

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 222 329,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 138 210,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 62,2%.

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	138,210.7
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	7,737.6
საინვესტიციო გრანტები	94,025.2
SDC	252.5
GEF	252.1
EU	26,061.3
SIDA	246.5
CNF	674.8
IFAD	158.9
KfW	11,096.5
MCC	33,288.8
USAID	21,993.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	36,447.9

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 197 508,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 203 498,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,0%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 61 140,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (46 500,0 ათასი ლარი) 131,5%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 42 303,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37 300,0 ათასი ლარი) 113,4%-ს შეადგენს.
 - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 377,3 ათასი ლარი.
 - **რენტის** სახით მობილიზებულია 18 459,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (9 200,0 ათასი ლარი) 200,6%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 44 218,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41 608,0 ათასი ლარი) 106,3%-ია. აქედან,
 - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 41 619,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37 940,0 ათასი ლარი) 109,7%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 339,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (530,0 ათასი ლარი) 64,1%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 25 287,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 000,0 ათასი ლარი) 109,9%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 508,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 000,0 ათასი ლარი) 150,9%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 12 644,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 700,0 ათასი ლარი) 118,2%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 944,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 640,0 ათასი ლარი) 57,6%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 613,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (760,0 ათასი ლარი) 80,8%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია - 280,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (310,0 ათასი ლარი) 90,5%-ია.
 - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 2 599,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 668,0 ათასი ლარი) 70,9%-ია. მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან - 130,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68,0 ათასი ლარი) 192,0%-ია;
- მომსახურების გაწევიდან - 2 454,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 600,0 ათასი ლარი) 68,2%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 43 111,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 100,0 ათასი ლარი) 89,6%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 14 483,9 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 40 544,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (61 300,0 ათასი ლარი) 66,1%-ია.

**2016 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	ათასი ლარი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	197,508.0	203,498.7	5,990.7	103.0
შემოსავლები საკუთრივიდან	46,500.0	61,140.5	14,640.5	131.5
პროცენტები	37,300.0	42,303.6	5,003.6	113.4
დივიდენდები		377.3	377.3	
რენტა	9,200.0	18,459.6	9,259.6	200.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	41,608.0	44,218.9	2,610.9	106.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	37,940.0	41,619.4	3,679.4	109.7
სალიცენზიო მოსარებლები	530.0	339.6	-190.4	64.1
სანებართვო მოსარებლები	23,000.0	25,287.6	2,287.6	109.9
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	1,000.0	1,508.9	508.9	150.9
სახელმწიფო ბაჟი	10,700.0	12,644.9	1,944.9	118.2
საკონსულო მოსაკრებელი	1,640.0	944.0	-696.0	57.6
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	760.0	613.80	-146.2	80.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	310.0	280.5	-29.5	90.5
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	3,668.0	2,599.5	-1,068.5	70.9
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	68.0	130.6	62.6	192.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	3,600.0	2,454.3	-1,145.7	68.2
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		14.6	14.6	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	48,100.0	43,111.0	-4,989.0	89.6
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		14,483.9	14,483.9	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	61,300.0	40,544.5	-20,755.5	66.1

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 158 980,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (162 800,0 ათასი ლარი) 97,7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 47 118,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44 300,0 ათასი ლარი) 106,4%-ია.